

დასახლების ტიპები ცენტრალურ ამერიკაგუასიაში ქრისტემდე II-I
ათასწლეულების მიჯნაზე



მამუკა უგრეხელიძე

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა
დახელოვნებისფაკულტეტზეარქეოლოგიისმაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებ
ისმოთხოვნებისშესაბამისად*

პროგრამა:არქეოლოგია.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი. ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი (PH.D). პროფესორი.

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი:

„როგორც წარდგენილი არგუმენტირებული ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მამუკა უგრეხელიძე

28/01/2020

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ცენტრალური ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ყოფის ამსახველი მეტად საინტერესო პერიოდის - გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ქრონოლოგიური შკალის განსაზღვრის მიზნით, ყურადღება ეთმობა, საკმაოდ ვრცელ პერიოდს, მოყოლებული ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპამდე; მოცემულია ცდა მის შიგნით მიმდინარე ცვლილებების გამომწვევი მიზეზებისა და საერთო კულტურულ პლასტებში ლოკალური ვარინტების გაჩენის ახსნისა.

გარდამავალი პერიოდის (ძვ.წ. XIII-XIIსს.) კვლევისას შევხებით აგრეთვე ამ ხანის მახასიათებელ ბრინჯაოს ინვენტარსაც; კერძოდ, ფოთლისებურპირიან და კახური ტიპის ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევრებსაც. ბრინჯაოს სატევრების ორ ტიპს, ფოთლისებურპირიან და კახური ტიპის ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევრებს.

თემის უმთავარეს საკვლევ საკითხს, ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კულტურების სამოსახლოების ტიპები წარმოადგენენ. საკითხის კვლევის ისტორიიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტები გადანაწილდება ორ კულტურაზე - შიდაქართლურზე და იორ-ალაზნურზე. განხილულია ამ კულტურების მსგავსებები, განსხვავებები და პარალელები, რომლებსაც ისინი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ავლენენ. კვლევა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შიდაქართლური და იორ-ალაზნური კულტურების ფონზე მასში საუბარია კავკასიაში სახელმწიფოებრივობის შექმნის ნიშნებზეც.

მეტი სიზუსტისათვის მინდა ავლნიშნო რომ, შევეცადე შემეგროვებინა და დამემუშავებინა მასალები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური ამიერკავკასიის უამრავ გორა-ნამოსახლარსა და დიდ, ე.წ. პროტოქალაქებზე. გამოვლენილი არქეოლოგიური მონაცემების საშუალებით ვცადე გამეაზრებინა

ძველი საზოგადოების ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ინჟინერია, მეტალურგია, მეთუნეობა, მესაქონლეობა და სხვა ის დარგები, რომელებიც ამ კულტურების ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდნენ.

მეცნიერთა მიერ კარგად არის შესწავლილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლების მთავარი ორნამენტული სახეები და ფორმები. ვფიქრობ რომ, ჩემი ნაშრომი საკმაოდ ინფორმატიულია და მკითხველს მიეცემა საშუალება შეიქმნას მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა ხდებოდა ცენტრალურ ამიერკავკასიაში ძვ.წ. II-I ათასწლეულში. რა ლოკალური და გლობალური გამოწვევების წინაშე იდგა აქ მაცხოვრებელი ადამიანი და როგორი იყო მისი ყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში განხილული პრობლემები შესწავლილია და შემდეგ გამყარებულია იმ მეცნიერთა მიერ მოყვანილი არგუმენტებით, რომლებმაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კვლევას დიდი დრო და ენერგია დაუთმეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გვიანბრინჯაოს ხანა. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. გორა-ნამოსახლარი. იორ-ალაზნის კულტურა. ამიერკავკასია.

Abstract

In the presented master's thesis is discussed depicted agricultural-cultural presence of the ancient population of eastern Transcaucasia's of the most interesting period - Archaeological monuments of the Late Bronze-early Iron Age. In order determine chronological scale, the attention is paid to a fairly extensive period, upward before the Bronze Age up to the late Bronze Age transition; The reasons for the changes taking place within it are given and in common cultural plasters of explaining the emergence of local varynts.

When researching a transitional period (BC.SEC. XIII-XIII.) two types of bronze satires have a large role, leafy-sharp-edged and the bronze composite of the Kakhetian type.

The main question of the topic, on the eve of II-I millennia BC. SEC are types of crops spread in South-East and East Georgia. Based on the research history of the issue, the main accents will be distributed between the two cultures - at Shida Kartli and Ior-Alaznuri. Similarities of these cultures are discussed, differences and parallels, who they show outside our country. Research is also important, that against the background of Shida Kartli and Ior - Alaznuri cultures there is speaking about the signs of creation of statehood in the Caucasus.

For more accuracy, I would like to note that, I tried to compile and process materials regarding late Bronze-early Iron Age in central Transcaucasia Pro-cities. As revealed through the archaeological data, I tried to increase the knowledge of the old society in such areas, as are engineering, metallurgy, livestock and all other fields that were the basis of the economy of these crops.

By scientists it is well studied the Late Bronze's main ornamental types and forms of early Iron Age clay vessels. I think my work is quite informative and the reader will be able to receive a meticulous idea about it what was happening in central Transcaucasia in BC. SEC. II-I millennium BC. What local and global challenges faced people living here and what was their mode of life and situation.

It should be noted that the problems discussed in the work have been studied and then backed up by the arguments cited by those scientists who devoted much time and energy to Late Bronze-early Iron Age research.

Key search words: Late Bronze Age. Late Bronze-early Iron Age. Hill-dwelling (deserted) house of Ior - Alazani culture. Transcaucasia.

მადლობა:

უპირველესყოვლისა მინდა დიდ მადლობას გადავუხდო ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ პაატა ბუხრაშვილს გაწეული დახმარებისთვის და თითოეული რჩევისთვის, რომელიც მან მომცა. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომზე მუშაობა რთულ მდგომარეობაში მიწევდა ბატონი პაატა ნებისმიერ დროს მზად იყო ჩემთვის დახმარება გაეწია და საჭირო რჩევები თუ შენიშვნები მოეცა. მისი მეშვეობით შევძელი, რომ განსხვავებული რაკურსით დამენახა შეხედულებები, რომლებიც მაქვს ჩამოყალიბებული და მასთან ურთიერთობის განმავლობაში გამიჩნდა სხვა ახალი აზრებიც, რომლის რეალიზების დიდი სურვილი მაქვს მისივე ხელმძღვანელობით.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ილიას უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების თითოეულ პროფესორს, რადგან მაგისტრატურაზე სწავლის არცთუისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათგან მივიღე, როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური ცოდნა. ეს ჩემთვის ფასდაუდებელი გამოცდილებაა.

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვინაიდან მომეცა საშუალება მესწავლა საუკეთესო პროფესორებისგან. ეს არის უნივერსიტეტი სადაც სტუდენტის აზრის გათვალისწინება ხდება.